"საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია"-ს წევრთა საერთო კრების
ოქმი #2

თბილისი 18.07.2025წელი

2025 წლის 18 ივლისს 17 საათზე საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის ოფისში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, პეკინის ქუჩა #39, ბინა 43-ში გაიმართა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის საიდენტიფიკაციო ნომერი:204378093 წევრთა საერთო კრება.
კრებას ესწრებოდნენ:
1)"კავკასიური და ქართული ნაგაზის აღორძინება და განვითარება"-ს წარმომადგენელი გია გიორგაძე;
2)რუსთავის კინოლოგიური კლუბი "ძაღლთა სამყარო"-ს წარმომადგენელი ოლღა დოხნაძე;
3)"საქართველოს ეროვნული კინოლოგიური კლუბი"-ს წარმომადგენელი თემურ ცაგარეიშვილი;
4)ძაღლების მოყვარულთა გაერთიანება "პრესტიჟი" კლუბი-ს წარმომადგენელი ზაზა ასანიშვილი;
5)აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კინოლოგიური ფედერაციის პრეზიდენტის გურამ ცინცაძის მინდობილი პირი მედეა ლომიძე;
6)ლანა ომაროვი;
7)ირენა ბოგდანიენეს მინდობილი პირი ზაზა ომაროვი;
8)კინოლოგიური კლუბი "შავი ბრილიანტი"-ს წარმომადგენელი გიზო ასათიანი;
9)ზაზა ომაროვი;
10)"საქართველოს პოინტერ-სეტერ კლუბი"-ს წარმომადგენელი გიგა მეგუთნიშვილი;
11)არჩილ მიქანაძე;წარმომადგენელი მედეა ლომიძე
12)გუგა ეირანოვი;
13)კინოლოგიუი კლუბი "კენელ ლენდი"-ს *წარმომადგენელი ნატალია ჭულუხაძე;
14)კინოლოგიური კლუბი "ცენტრალური ქენელ კლუბი"-ს წარმომადგენელი ინა რუხაძეს მინდობილი პირი მედეა ლომიძე;
15)ნატალია მესტვირიშვილი დისტანციურად;

ჯანმთელობის მდგომარეობის გამო კრებაზე ვერ გამოცხადდა კინოლოგიური კლუბი "ვინცენტი"-ს წარმომოადგენელი ნინო შილაკაძე, მისთვის ცნობილი იყო დღევანდელი კრების მოწვევა და კრების დღის წესრიგი, მან გამოგზავნა ელ.ფოსტაზე განცხადება და მიუთითა რომ იცნობსდღის წესრიგის თუმცა ხმის მიცემისაგან მარინა ჩიკაშუას და

გიორგი მინდიაშვილის კინოლოგური დისკვალიფიკაციის მიცემის თაობაზე თავს იკავებს.

კრებაზე არ გამოცხადდა: კინოლოგიური კლუბი ტობი დოგი"-ს წარმომადგენელი მინდია ყიფიანი, მიქაელ გაბრიჩიძე, იოსებ კიკვაძე, არ გამოცხადდა საქართველოს კონტინენტალური მეძებრეების კლუბის წარმომადგენელი დავით სამუშია მისთვის ცნობილი იყო დღევანდელი კრების მოწვევა და დღის წესრიგი;

კრებას ესწრება საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის სრულუფლებიან წევრთა 2/3-ზე მეტი და კრება გადაწყვეტილებაუნარიანია.

კრებას თავმჯდომარეობს საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი გია გიორგაძე.

კრების მდივნად დასახელდა მედეა ლომიძე პ/#01025001778;

კრების მდივნის კანდიდატურას ეყარა კენჭი.

კრებამ ერთხმად დაუჭირა კრების მდივნად მედეა ლომიძის კანდიდატურას და კრების მდივნად არჩეული იქნა მედეა ლომიძე;

კრების თავმჯდომარემ გამოაქვეყნა დღის წესრიგი, რომლის გამოც მოწვეული იქნა სკფ წევრთა საერთო კრება:

1)საქართველოს კინოლოგიურ ფედერაციაში შემოსული გენ.მდივნის ზაზა ომაროვის, საერთაშორისო ექსპერტის იუზა ბერაძის საჩივრის განხილვა მარინა ჩიკაშუას ძაღლსაშენი "Blooming Family" კინოლოგიური საქმიანობის ყველ მიმართულებით მიეცეს სამუდამო დისკვალიფიკავია.

" კინოლოგიური საქმიანობის ყველ მიმართულებით სამუდამო დისკვალიფიკაციის თაობაზე; გიორგი მინდიაშვილის მიმართ კინოლოგიური საქმიანობის ყველა მიმართულებით დისკვალიფიკაციის თაობაზე. მარინა ჩიკაშუას შეპასუხება განცხადების განხილვა, გიორგი მინდიაშვილის შეპასუხება-განცხადების განხილვა იუზა ბერაძის მსაჯობის სტატუსის შეჩერების თაობაზე, *საჯარო ბოდიშის მოხდის თაობაზე. ოქტიაბრინა ლევჩენკოს სამუდამო დისკვალიფიკაციის თაობაზე.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს.

საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის წევრებმა ერთხმად დაუჭირა მხარი დღის წესრიგს.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს „კინოლოგიური ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი გია გიორგაძე-პატივცემულო ფედერაციის წევრებო რამდენადაც თქვენთვის ცნობილია შემოსული იქნა სკფ საერთაშორისო ექსპერტის იუზა ბერაძისა და გენ.მდივნის საჩივრები მარინა ჩიკაშუას

ძაღლსაშენი "Blooming Family" კინოლოგიური საქმიანობის ყველა მიმართულებით სამუდამო დისკვალიფიკაციის მოთხოვნით.

ასევე მარინა ჩიკაშუას საპასუხო განცხადება, ექსპერტ იუზა ბერაძის საჩივარი ჰენდლერ გიორგი მინდიაშვილის მიმართ და გიორგი მინდიაშვილის საპასუხო განცხადება-საჩივარი. აღნიშნული მასალები გადმოგეგზავნათ გასაცნობათ და შესასწავლად და დღეს კრება მზად არის განიხილოს აღნიშნული საჩივრები და მათი შეპასუხებები. მოკლედ მოგახსენებთ საქმის გარემოებებს: ინციდენტს ადგილი ქონდა 2025 წლის 27 მაისს სპორტის სასახლეში გამართულ გამოფენაზე. აღნიშნულ გამოფენაზე მოწვეული იყვნენ და მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოში ცნობილი უცხოელი კინოლოგი ექსპერტები, მათ შორის საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის პრეზიდენტი ტამაშ იაკელი. გამოფენის დროს მომმართა მარინა ჩიკაშუამ და განმიცხადა რომ ერთ ერთ რინგზე მონაწილე ექსპერტი იუზა ბერაძე იყო არაფხიზელ მდგომარეობაში და მოითხოვა გამომეძახა საპატრულო ეკიპაჟი და შემემოწმრბინა ნარკოლოგიურ დისპანსერში მსაჯი. მე ვცადე დამეწყნარებინა ქალბატონი, მოვერიდე ჩიკაშას მხრიდან დებოშს, მაგრამ ვერ შევძელი თავიდან ამერიდებინა კონფლიქტი. მარინა ჩიკაშუამ გამოფენაზე მონაწილე პირებთან და სტუმრების თანდასწრებით მიაყენა შეურაცხყოფა ექსპერტ იუზა ბერაძეს. დღის ბოლოს როცა სტუმრები სავახშმოდ მივიწვიეთ სუფრაზე, სკფ გენ. მდივანს ზაზა ომაროვს დაურეკა მარინა ჩიკაშუას ქმარმა - დავითმა, გვარი არ ვიცი და გვაგინა უშვერი სიტყვებით ზაზა ომაროვს, იუზა ბერაძეს და მე-გია გიორგაძეს. მინდა ავღინშნო რომ გამოფენების პროცესში არაერთხელ მოუწყვია მარინა ჩიკაშუას კონფლიქტი. ამჯერად შემოსული საჩივრების თაობაზე მოწვეულია საერთო კრება და გთხოვთ საკითხის გადასაწყვეტად გამოთქვათ თქვენი მოსაზრება და ვიმსჯელოთ აღნიშნულზე. პირადად მე მინდა ვთქვა რომ მე ჩიკაშუას ოჯახში არაერთხელ ვარ ნამყოფი, ასევე ჩემ ოჯახშიც სასურველი სტუმარი იყო, თან ასევე მინდა ავღნიშნო რომ ბათუმში გამართულ გამოფენაში გამარჯვების მომენტში ისეთი სიხარული განიცადა რომ ჩემი ქრისტიანული ცხოვრების წესი არ მაძლევს უფლებას, მის წინააღმდეგ მივიღო გადაწყვეტილება, თუმცა ერთმნიშვნელოვნად სახეზეა მარინა ჩიკაშუას მხრიდან სკფ წესდების უხეში დარღვევა. ყველას თქვენი აზრი გაქვთ, მე არც თქვენს გადაწყვეტილების მიღებაში ვერევი, იმოქმედეთ როგორც ნამდვილად თვლით საჭიროდ პირადად მე მარინა ჩიკაშუას წინააღმდეგ გადაწყვეტილების მიღებისაგან თავს ვიკავებ. რაც შეეხება მარინა ჩიკაშუას მოთხოვნას მარინა ზაზა ომაროვის მიმართ ექსპერტ-კინოლოგის სტატუსის შეჩერების და თანამდებობიდან გადაყენებას, ასევე იუზა ბერაძის მიმართ ექსპერტ-კინოლოგის სტატუსის შეჩერების და ნარკოდამოკიდებულების შემოწმების მოთხოვნას ქალბატონ მარინა

ჩიკაშუას სკფ წესდების თანახმად არა აქვს უფლება მოითხოვოს სკფ გენ მდივნის და საერთაშორისო ექსპერტის უფლებამოსილების შეჩერება და თანამდებობიდან გადაყენება. არაუფლებამოსილი პირის მოთხოვნა და არარსებული საფუძვლით არის უარის საფუძველი, ამდენად მას უნდა ეთქვას უარი აღნიშნულ მოთხოვნაზე.

სიტყვით გამოვიდა სკფ გენ.მდივანი ზაზა ომაროვი: მიუხედავად ჩემი სოლიდური ასაკისა ასეთი ყოველმხრივი შეურაცხყოფა ჩემთვის ჯერ არავის მოუყენებია. ვიცოდი რა მარინა ჩიკაშუას ფეთქებადი და არაადეკვატური ხასიათი, რომელსაც ხშირად ავლენდა როგორც პირად ურთიერთობაში ასევე საზოგადოებაში, ასეთი პროვოკაციებს მაინც არ ველოდი. ჯერ გამოფენის მსვლელობის დღის არ მოერიდა დამსწრე საზოგადოებას სრულიად უმიზეზოდ დამწამა ცილი პირადად მე, მერე წააქეზა და დაარეკინა ქმარს და ოფიციალურად გვაგინა უშვერი სიტყვებით სტუმრებთან თანდასწრებით. საქმე იმაშია რომ სუფრასთან იყო ხმაური და ტელეფონის სმენადობა იყო მაღალი, ამის გამო უშვერი სიტყვებით გინება გაიგონა სუფრასთან მჯდომმა სტუმრებმაც. რაც ყველაზე სავალალოა, არა თუ დაფიქრდა მარინა ჩიკაშუა თავის ქმედებაზე არამედ გამოაგავნა საპასუხო განცხადება, რომლითაც შეეხო ჩემს განათლებას, ოჯახს, პირად ცხოვრებას. ჩემი კონსტიტუციურად მონიჭებული და დაცული უფლებები შეურაცხყო. მე კატეგორიული ვარ და კატეგორიულად ვითხოვ მარინა ჩიკაშუას, ძაღლსაშენ "Blooming Familiy" მიმართ კინოლოგიური საქმიანობის ყველა მიმართულებით მიეცეს სამუდამო დისკვალიფიკაცია.

სიტყვით გამოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კინოლოგიური ფედერაციის პრეზიდენტის გურამ ცინცაძის მინდობილი პირი მედეა ლომიძე-გავეცანი რა სკფ შემოსულ საჩივრებს და მ. ჩიკაშუას საპასუხო განცხადებას შოკირებული დავჩი, არ შეიძლება ქალმა შებღალო ყველა და ყველაფერი რაც შენს მიზნებში არ ჯდება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა ჩიკაშუას გაუჩნდა სურვილი ჩამოეყალიბებინა სკფ ალტერნატიული კინოლოგირი ფედერაცია, რომელიც ასევე გაწევრიანებული იქნებოდა მსოფლიოს საერთაშორისო კინლოგიურ ფედერაციაში. ერთი რამე ვერ გათვალა ჩიკაშუამ რომ საქართველოს 25 წელი დაჭირდა გამხდარიყო მსოფლიო საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის სრულუფლებიანი წევრი და მეორე-მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მხოლოდ ერთი კინოლოგიური ფედერაციას აქვს უფლება გახდეს საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის წევრი და ალტერნატივა არ არსებობს. მიმაჩნია რომ მარიკა ჩიკაშუამ უხეშად დაარღვია სკფ წესდების მოთხოვნები, შეურაცხყო სკფ ღირსეული წევრები, შებღალა ადამიანის უფლებები, ხელყო ზაზა ომაროვისა და იუზა ბერაძის პატივი და ღირსება, მათი კონსტუტუციური უფლებები.

ქრ ომაროვ მედეა ლომიძე

მიუხადავად ამისა დღემდე განაგრძობს სკფ ავტორიტეტის შებღალვას და მუქარას. ვინაიდან სკფ ვერ აკმაყოფილებს მარინა ჩიკაშუას მაღალი სტანდარტების მოთხოვნებს, უკმაყოფილოა ფედერაციის მუშაობითა და მისი ხელმძღვანელი პირებით მიმაჩნია რომ ასეთი სუბიექტი არ უნდა იყოს საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის სიახლოვეს, ამიტომ მე მხარს ვუჭერ მარიკა ჩიკაშუას მიმართ ზაზა ომაროვისა და იუზა ბერაძის საჩივარში მოთხოვნილ სამუდამო დისკვალიფიკაციას. არ შემიძლია არ ავღნიშნო ქალბატონი სხვის განათლებაზე რომ საუბრობს და მუქარის კორიანტელი დააყენა თავის განცხადებაში, რა თემებზე საუბრობს?! რა საერთო აქვს განსახილველ საკითხთან თავად თუ იცის?! რაც შეეხება მის საქმიანობას თუ ჰობი ძაღლსაშენთან დაკავშირებით საქართველოში არის ალტერნატიული კინოლოგიური ფედერაციები და მას შეუძლია იქ გააგრძელოს თავისი საქმიანობა, არჩევანი დიდი აქვს. რაც შეეხება მარინა ჩიკაშუას მოთხოვნას ზაზა ომაროვის მიმართ ექსპერტ-კინოლოგის სტატუსის შეჩერების და თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე და ასევე იუზა ბერაძის მიმართ ექსპერტ-კინოლოგის სტატუსის შეჩერების და ნარკოდამოკიდებულების შემოწმების მოთხოვნას უარი უნდა ეთქვას უსაფუძვლობის გამო.

კენჭი ეყარა მარინა ჩიკაშუას, ძაღლსაშნი "Blooming Family " მიმართ კინოლოგიური საქმიანობის უველა მიმართულებით სამუდამო დისკვალიფიკაციის საკითხს.

გია გიორგაძემ, ნატალია მესტვირიშვილმა, ნინო შილაკაძემ, თემურ ცაგარეიშვილმა ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს.

კრების სხვა წევრებმა მხარი დაუჭირეს მარინა ჩიკაშუას ძაღლსაშენი "Blooming Family" კინოლოგიური საქმიანობის ყველა მიმართულებით მიეცეს სამუდამო დისკვალიფიკაცია.

კენჭი ეყარა მარინა ჩიკაშუას მოთხოვნას სკფ გენ. მდივნის ზაზა ომაროვის მიმართ ექსპერტ-კინოლოგის სტატუსის შეჩერების და თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე და საერთაშორისო ექსპერტის იუზა ბერაძის მიმართ ექსპერტ-კინოლოგის სტატუსის შეჩერების და ნარკოდამოკიდებულების შემოწმების მოთხოვნას.

კრების წევრებმა არ დაუჭირეს მხარი მარინა ჩიკაშუას მოთხოვნას ზაზა ომაროვის მიმართ ექსპერტ-კინოლოგის სტატუსის შეჩერების და თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე და ასევე იუზა ბერაძის მიმართ ექსპერტ-კინოლოგის სტატუსის შეჩერების და ნარკოდამოკიდებულების შემოწმების მოთხოვნას როგორც არაუფლებამოსილი პირის უსაფუძვლო.

სიტყვით გამოვიდა გია გიორგაძე-რაც შეეხება საჩივარს გიორგი მინდიაშვილის მიმართ, თავდაპირველი საჩივარი და მინდიაშვილის შეპასუხება-განცხადებები და საჩივარი, მოწმეების განცხადებები ჩაგბარდათ თვითოეულ წევრს და გაეცანით, მაგრამ მოკლედ

გია გიორგაძე ნინო შილაკაძე

მოგახსენებთ საქმის ვითარებას, ე.ი. გამოფენის დროს ჰენდლერ გიორგი მინდიაშვილმა გაიყვანა რინგზე იოშერსკი ტერიერის ძაღლი, სადაც მსაჯობდა საერთაშორისო მსაჯი იუზა ბერაძე, გიორგი მინდიაშვილი დარჩა რა უკმაყოფილო მსაჯის შეფასებით, შევიდა რინგზე და მსაჯს მოსთხოვა ახსნა-განმარტება თუ რატომ მიცა ის შეფასება რაც მიცა და რატომ არ მიცა მისთვის ხელსაყრელი და მოსაწონი შეფასება. მოწმეთა განმარტებით ამ ინციდენტს შეესწრო რინგზე მყოფი მოწმეები, რომლებიც უთითებენ რომ გიორგი მინდიაშვილი იქცეოდა გამომწვად და აგრესიულად. აქაც ავღნიშნავ რომ არც გიორგი მინდიაშვილისგან არის ასეთი საქციელი პირველი (კახეთის გამოფენაზე ქონდა აგრესია და ჩხუბის პროვოცირება), მიუხედავად მისი ასაკისა იგი თავს აძლევს უფლებას მოსთხოვოს საერთაშორიო მსაჯს პასუხი თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რაც კინოლოგიური წესდებითა და საერთაშორისო დებულებებით დაუშვებელია. უფრო მეტიც იუზა ბერაძეს მოსთხოვა პასუხი თუ რატომ მისცა კარგი შეფასება რინგზე გამოსულ სხვა ძაღლს (ჰენდლერი ოკტიაბრინა ლევჩენკო) და საჩივარში მიუთითებს რომ თითქოს ამ ძაღლს ტიტულები ყალბად აქვს მინიჭებული და თითქოს კოჭლი არის ეს ძაღლი, რომელსაც იუზა ბერაძემ არასწორად მისცა საუკეთესო შეფასება. განცხადებაში განმარტავს რომ იუზა ბერაძემ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და მისი მოწმეები ადასტურებენ ამ ფაქტს. ასეთი ქმედების თვითმხილველი მოწმეები არიან დისტანციურ რეჟიმში ონლაინ ჩართვის დროს მყოფი პირები. თუმცა რინგზე მყოფი მოწმეები არ ადასტურებენ ასეთ ფაქტს და გიორგი მინდიაშვილის ამ განცხადებას უწდებენ ცილისწამებას. გიორგი მინდიაშვილის მოთხოვნა საერთაშორისო ექსპერტის იუზა ბერაძის სტატუსის შეჩერება და მისი კონკურენტის ოქტიაბრინა ლევჩენკოს დისკვალიფიკაციის მოთხოვნა ცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს და ეს ყოველივე არის საფუძველი უარის თქმისა.

სიტყვთ გამოვიდა მედეა ლომიძე აღნიშნული საჩივარი და შეპასუხება საჩივრები შესწავლილი იქნა ჩემს მიერ და მინდა დავამატო რომ მე პირადად გავესაუბრე გიორგი მინდიაშვილს რომელიც ადასტურებს იუზა ბერაძის მხრიდან ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. სიტყვიერი შეურაცხყოფა გამოიხატა დედის გინებაში, ხოლო ფიზიკური შეურაცხყოფა გამოიხატა იმაში რომ იუზა ბერაძემ მუშტი დაარტყა მაგიდას, რის შედეგადაც ჭიქა წაიქცა და ამან გამოიწვია "არეულობა". მითხრა რომ აღნიშნულზე ქონდა ვიდეო მასალა, რაზედაც მე ვთხოვე წარმოედგინა მტკიცებულებები და გავეცნობოდით. ასევე შევხვდი იუზა ბერაძეს, რომელმაც ჩემთან საუბარში აღნიშნა რომ იგი ათეული წლებია არის საერთაშორისო ექსპერტი, მონაწილეობდა და მონაწილეობს მსოფლიოს არაერთ ქვეყნაში

დაახლოებით 40 ქვეყანაში, იგი ყოველთვის ემორჩილება საერთაშორისო კინოლოგიის წესდებასა და დადგენილებებს და მისთვის მიუღებელია სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. ასევე დაუმატა რომ გინება, ბილწსიტყვობა, დედის მისამართით გინება არათუ გამოფენის მსვლელობის დროს არამედ მის ლექსიკონშიც კი არ ჯდება. რაც შეეხება ყალბ საბუთებსა და ყალბ სტატუსს დამოკვლეული იქნა, ამოღებული საბუთები და დადასტურებული რომ გიორგი მინდიაშვილის განცხადებაში მითითებული ფაქტი არის ცრუ ბრალდება და სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. აქვე მინდა დავამატო ექსპერტ იუზა ბერაძის განმარტება, რომ რინგზე ოქტიაბრინა ლევჩენკოს მიერ გამოყვანილი ძაღლი კი არ კოჭლობდა სირბილის დროს ხანდახან ფეხს წევდა, რაზედაც ლევჩენკომ განმარტა რომ ძაღლს საღეჭი რეზინა მიეკრო ფეხზე გამოფენის დაწყებამდე და ვერ მოასწრო სუფთად მოეშორებინათ, რამაც გამოიწვია სირბილის დროს ძაღლის დისკომფორტი. მიუხედავად ტექნიკური ხარვეზისა იუზა ბერაძემ მისცა ექსტერიერული დახასიათება და არავითარი პირველი ადგილი და სტატუსი, როგორც ეს საჩივარში მიუთითა გიორგი მინდიაშვილმა. აქვე მინდა დავძინო რომ მინდიაშვილი და მისი მოწმეები ითხოვენ საერთაშორისო ექსპერტ იუზა ბერაძის ექსპერტობის შეჩერებას, საჯაროდ ბოდიშის მოხდას, ხოლო ოქტიაბრინა ლევჩენკოს დისტკვალიფიკაციას. კანონის მოთხოვნათა დაცვით გიორგი მინდიაშვილი მოკლებულია ასეთ უფლებამოსილებას მითუმეტეს როცა მასალების გაცნობის დროს რაიმე დარღვევა, გადაცდომა ექსპერტისა და მითუმეტეს ოქტიაბრინა ლევჩენკოს მხრიდან არ გამოვლენილა. ერთმნიშვნელოვნად ადგილი აქვს ცრუ ბრალდებებს და რაც ყველაზე კომიკურია და ზეუცოდინრობის გამოვლინება გ.მინდიაშვილის "მოწმეები" ითხოვენ ოქტიაბრინა ლევჩენკოს დისკვალიფიკაციას. მიმაჩნია რომ გიორგი მინდიაშვილის "მოწმეები" არ უნდა დარჩნენ ყურადღების მიღმა და მათი საკითხიც უნდა იქნეს შესწავლილი და საერთო კრების განხილვის თემა. აქაც მინდა ავღნიშნო რომ ჰენდლერი გიორგი მინდიაშვილი არ არის შემოფარგლული ჩვენი კინოლოგიური ფედერაციის გამოფენებით და მას შეუძლია თავისი საქმიანობა გააგრძელოს საქართველოში არსებულ სხვა ალტერნატიულ კინოლოგიურ ორგანიზაციებში, არჩევანი ნამდვილად აქვს.

სიტყვით გამოვიდა ზაზა ასანიშვილი-მიუხედავად ყველა ზემოთ მითითებული გარემოებებისა მიმაჩნია რომ სამუდამო დისკვალიფიკაცია მკაცრი სანქცია იქნება და გონივრული ვადაზე ერთიდან ხუთ წლამდე იმსჯელოს კრებამ.

კრების წევრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ვადიან დისკვალიფიქაციის საკითხის გადაწყვეტას.

კენჭი ეყარა გიორგი მინდიაშვილის სამი წლით კინოლოგიის საქმიანობის ყველა მიმართულებით დისკვალიფიკაციის საკითხს.

ნინო შილაკაძემ, თემურ ცაგარეიშვილმა და ნატალია მესტვირიშვილმა თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან.

კრების წევრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გიორგი მინდიაშვილის სამი წლით კინოლოგიის საქმიანობის ყველა მიმართულებით დისკვალიფიკაციის საკითხს.

"საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია"-ს წევრთა 2025 წლის 18 ივლისის #2 საერთო კრებამ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1) მარინა ჩიკაშუას ძაღლსაშენ "Blooming Family" კინოლოგიური საქმიანობის ყველ მიმართულებით მიეცეს სამუდამო დისკვალიფიკავია.

არგუმენტაცია:

ა) საქართველოს კინოლიგიური ფედერაციის ქცევის კოდექსისა და ეთიკური ნორმების არაერთზის დარღვევა;

ბ) ფედერაციის წევრებისა და საერთაშორისო ექსპერტების მიმართ მიზანმიმართული მუქარა და შეურაცხმყოფელი ბრალდებები;

გ)საჯაროდ გავრცელებული ციისწამებლური განცხადებები, რომლებიც ეწინაარმდეგება ფედერაციის რეპუტაციულ სტანდარტებს;

დ)პირადი და კონფიდიციალური ინფორმაციის საჯარო გავრცელება უნებარტოდ;

ე) ფაქტების დამახინჯება და არასწორი ინფორმაციის განზრახ გავრცელება სკფ საქმიანობის დისკრედიტაციის მიზნით;

საფუძველი:

საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის წესდების 5-ე მუხლის 5.1.1. პუნქტი;

2) გიორგი მინდიაშვილის სამი წლის ვადით კინოლოგიის საქმიანობის ყველა მიმართულებით მიეცეს დისკვალიფიკაცია (ვადის ათვლა დაიწყოს 18.07.2025წ.).

არგუმენტაცია:

ა) მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობები ფედერაციის წევრებისა და საერთაშორისო ექსპერტების მიმართ ოფიციალურ სივრცეში;

ბ) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კინოლოგიურ ფედერაციებზე დაუსაბუთებელი (ცრუ) ბრალდებების გავრცელება;

გ) კონკურენტის მიმართ ცილისწამება და შეურაცხმყოფელი განცხადებები, რაც ზიანს აყენებს სპორტული ეთიკის სტანდარტებს;

დ) ექსპერტების მიმართ საჯარო შეურაცხყოფა და არაეთიკური ქცევა;

ე) უცხოელი ექსპერტების მიმართ სიძულვილით მოტივირებული არაკორექტული განცხადებები, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო კინოლოგიური სტანდარტების ეთიკას;

საფუძველი:

საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის 5-ე მუხლის 5.1.1.პუნქტი;

საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის წესდების 4-ე მუხლის 3 პუნქტის საფუძვლზე გადაწყვეტილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

კრება დახურულად გამოცხადდა 19.20 საათზე.

საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის
პრეზიდენტი: გია გიორგაძე

მდივანი: მედეა ლომიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N250938811
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.07.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლალი კანდელაკი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.N2ა, მე-2 სართული, ბინა N13
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	ოფისი - 2380471; მობილური – 599111901
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42776783597825

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ოცდახუთი წლის ოცდასამ ივლისს ნოტარიუს ლალი კანდელაკს ჩემს სანოტარო ბიუროში - მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.N2ა, მე-2 სართული, ბინა N13-ში მომმართეს: მედეა ლომიძემ დაბ. 10.08.1959 წელს კასპში, პირადი N01025001778, რეგ. საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დილომის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 20, ბინა 45 და გია გიორგაძემ დაბ. 04.07.1960 წელს თბილისში, პირადი N01022004357, რეგ. მცხეთა ს. მუხათწყარო 1-ლი ქ. N 11, რომლებმაც წარმოადგინეს „საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია"-ს წევრთა საერთო კრების ოქმი #2 და მოითხოვეს მასზე მათი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე: შესრულებული ხელმოწერები წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერები ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირებს ეკუთვნით. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე. ამის შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს ხელმოწერები წინამდებარე „საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია"-ს წევრთა საერთო კრების ოქმზე #2.

გადახდილია საზღაური თანახმად: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქართველოს დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011წ. N507) 31-ე მუხლისა 72 (სამოცდათორმეტი) ლარი და ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა 5 (ხუთი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის, სულ 77 (სამოცდაჩვიდმეტი) ლარი.

ნოტარიუსი ლალი კანდელაკი

[redacted]